

03. ქავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

პულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა

პულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XVIII

თბილისი 2004

03. ჯავახიშვილის სახელობის თანილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

კულტურის ისტორიისა და თეორიის პათიოლა

კულტურის ისტორიისა და თეორიის
საკითხები

XVIII

თბილისი 2004

მათვარები ინტერესების ცვლილების
საკითხებისათვის (XX ს. ერთვალ 50-იანებზე მათვარია
გეოგრაფიულების მიხედვით)

წარსულში განცდილი მოვლენების გამოძახილისა და წარმოსახვა-
ში არსებული მომავლის მოლოდინის საფუძველზე, კონკრეტული
პილიტიკური ვითარების პირობებში, საზოგადოებაში ქვეცნობიერად
აწყობილი გარეული დამოკიდებულება ჩნდება, რაც უშუალოდ
აწყობის მიმართ გარკვეული დამოკიდებულება ჩნდება, რაც უშუალოდ
აწყობის რეალობისათვის დამახასიათებელ განწყობილებაში და ცხ-
არსებული რეალობისათვის დამახასიათებელ განწყობილებაში და ცხ-
არსებული ფორმაში გამოიხატება. ჩვენი განწყობილება მნიშვნელოვნად
მნიშვნელოვნად გამოიხატება. ჩვენი განწყობილება მნიშვნელოვნად
ზემოქმედებს ცხოვრების რითმისა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე, რაც,
თავისი მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვან კომპონენტებთან ერთად
(რელიგია, ტრადიციები, განათლება, ხელოვნება) საზოგადოების გან-
ვითარების განსაზღვრულ პერიოდს ქმნის.

არსებული ცხოვრების რითმი და ხასიათი, აძასთავეუ, აადა
დროებისათვის დამახასიათებელი მოთხოვნები თანადორული ხე-
ლოვნების ჩამოყალიბებაზეც გარკვეულ გავლენას ახდენს და, შეიძლე-
ბა ითქვას, მისი ხასიათის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად-
ბა ითქვას, მისი ხასიათის განმსაზღვრელ ფორმასთან
აც გვევლინება. აღსანიშნავია, რომ ცხოვრების ახალ ფორმასთან
მიმართებაში განსხვავებული მხატვრული ინტერესები და, აქედან
გამომდინარე, ჩჩროვნების თვისებური ფორმა ჩნდება, რაც ცალკეუ-
ლი შემოქმედის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ნიშან-
ლი შემოქმედის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ნიშან-
ლი შემოქმედის მიუხედავად, საერთო მხატვრულ ტენდენციას აყალიბებს
თვისებების მიუხედავად, საერთო მხატვრულ ტენდენციას აყალიბებს
და რეალობის მიმართ შემოქმედთა დამოკიდებულების, ეპოქის საერ-
თო განწყობილების გამომხატველია.

თუმცა ალსანიშვილი, რომ თაობა, რომელიც გრაფიკული ისტორიული მდგრადი აღმოჩენის ფონზე ჩამოყალიბდა და არსებობის ახალი რიცხვი პროცესების ფონზე ჩამოყალიბდა და არსებობის ახალი

პოლიტიკური ფორმის დროსაც აგრძელებს მოღვაწეობას, შესაბამისად მხატვრული ინტერესების გარკვეულ ცვლილებას განიცდის. ჩვენი დაკვირვებით, მსგავსმა ცვლილებებმა XXს. 50-იანელ მხატვართა თაობაში ერთგვარი ტენდენციის სახე მიიღო. ამ მოსახმების დასახუთება საჭირო მასალის მოპოვებასა და ამ ფაქტის გამომწვევ მჩქებთა დადგენას გულისხმობს.

XXб. 30-40-იანი წლების საქართველოს უმშესმარეობაზე ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე არაერთგვაროვანი გავლენა იქონია. ძნელი წარმოსადგენია, თუმცა ფაქტია, რომ ფინიკურად და მორალურად წელში გატეხილმა ქვეყანამ 50-იანი წლების ბოლოს მძღვრი კულტურული აღმავლობა განიცადა. საქართველოს სულიერი ცხოვრების სფეროში მნიშვნელოვანი შემოქმედებითი სიახლეები წარმოჩნდა. ამ საინტერესო მოვლენის გამომწვევე მიჩებთა შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება იპყრობს ყურადღებას.

როგორც ჩანს, ცხოვრების მძიმე პირობებში და ფიზიკურ გადა-
რჩენაზე ზრუნვისათვის “დაკარგულმა” დრომ ახალგაზრდებში შინა-
განი დაუკამყოფილებლობის გრძნობა გააღვიძა და განათლებისა და
სამყაროს მრავალმხრივი შეცნობის უდიდესი სურვილი აღძრა, რაც
მთელი თაობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების საწ-
ინდარი აღმოჩნდა. ამასთანავე, განათლებული და ნიჭიერი თაობი-
სათვის დროისაგან მინიჭებულმა გარკვეულმა შემოქმედებითმა
თავისუფლებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ხელოვანთა მთელი
პლეიდის ჩამოყალიბებაზე, რომელიც მრავალფეროვანი შემოქმედე-
ბით ნიჭითა და დახვეწილი მხატვრული ჩზროვნების უნარით გამ-
ოირჩიოდა. მხატვრული შემოქმედების ყოველ სფეროში მათი ერთ-
დროული გამოჩენა თამამად შეიძლება განვიხილოთ, როგორც მნიშ-
ვნელოვანი მოვლენა საქართველოს კულტურის ისტორიაში. ამ დროის
მნერლობაში, სახვით ხელოვნებაში, მუსიკასა თუ კინოხელოვნებაში
ნამოჩნდა ახალი მსოფლმხედველობა და ახალი მხატვრული მიდგ-
ობა, რასაც თანამედროვე ცხოვრების მიმართ მათი დამოკიდებულე-
ბა განსაზღვრავდა.

პოლიტიკური რეპრესიებისა და მსოფლიო ომის “შვილები-სათვის”, რომელიც “ჯოჯონხეთური” ბავშვობა და ყრმობა განვიღეს,

50-იანი წლები ერთგვარი შვებისა და ბედნიერი მომავლის სიმბოლოდ იქცა. ბედნიერი მომავლის რწმენამ, ქვეყნის განსხვავებული ჭით განვითარების იმედმა და მოლოდინმა არა მარტო ხელოვანთა შორის, არამედ მთელ საზოგადოებაში ცხოვრების მიმართ რომანტიკული დამოკიდებულება გააღვივა.

სწორედ სამყაროს რომანტიკული ხედვა, მახვილი თვალი, არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა და ჩვეულებრივ მოვლენებსა თუ ადამიანებში ამაღლებული, თავისუფალი სულის ძიება და გამოვლენა განსაზღვრავს ორმოცდათიანელთა ერთ-ერთი წარმომადგენლის, მხატვარ დიმიტრი ერისთავის მრავალფეროვანი შემოქმედების მიმართ მუდმივ, ცოცხალ ინტერესს. გრაფიკოსის მსოფლმხედველობა, მისი მხატვრული შემოქმედება, ცხოვრებისული ცვლილებების პარალელურად ვითარდება. შემოქმედებით განვითარებასთან ერთად იცვლება მხატვრის ინტერესების სფერო, დამოკიდებულება გამოსახვის ობიექტისადმი და აქედან გამომდინარე, მხატვრის ხელწერა, გრაფიკული ტექნიკა, ესთეტიკა, ხაზი, ფორმა, ფერი.

ადრეული ნამუშევრები, რომელებიც ფართო საზოგადოებისათვის მხატვრის სავიზიტო პარათად იქცა, ჭაბუკური აღმაფრენითა და სილალითაა გამსჭვალული. მკვეთრი კონტურული ნახატით შემოზღუდული გამჭვირვალე, ღია ფერის სილუეტებით მხატვარი თავისი ახალგაზრდობის დროინდელ თბილისურ აქტიურ და მშთოთვარე ყოფას ასახავს. ნატიფი ლირიზმითა და ჰეროვნებით გაჯერული რეალიასტური კომპოზიციები მხატვრული სახის რომანტიკული ხასიათით სცილდებიან ყოფითი უანრის ფარგლებს და ამაღლებულ ხასიათს იძენენ. უკვე ამ ნამუშევრებში ნათლად წარმოჩნდა დამიტრი ერისთავის ყველასაგან განსხვავებული თვალთახედვა და ხელწერა.

მოგვიანებით მხატვრის შემოქმედებაში ხაზივან პლასტიკას მოცულობითი ფორმებისადმი ინტერესი ცვლის, რაც სხვადასხვა დროს სხვადასხვავარად გამოვლინდა და ადამიანის ფიგურისადმი, სხვულის მოძრაობის პლასტიკის წარმოჩნდისადმი მხატვრის ინტერესმა განსაზღვრა. რეალური გარემოსა და ადამიანისადმი ინტერესები

დამიტრი ერისთავმა შემოქმედების დასაწყისშივე გააერთიანა და თბილისის სავსებით ახლებური, მახვილი თვალით დანახული, ადამიანური სითბოთი და ოუმორის საუკეთესო გრძნობით გაჯერებული საოცრად დახვენილი, შავ-თეთრი თუ ფერადი კომპოზიციები შექმნა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი ერისთავმა ქალაქის ცხოვრების აქტიური რითმი ასახა და თავისი ეპოქის უტყუარი პორტრეტი წარმოგვიდგინა. ამ სურათებმა დღეს ისტორიული მნიშვნელობა შეიძინეს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1990-იანი წლებიდან დ. ერისთავის ინტერესების სფერო სრულებით იცვლება. მხატვრის შემოქმედების ძირითადი თემა ამიერიდან სავსე ფორმების მქონე ქალის შიშველი სხულია, უშუალოდ მისთვის დამახასიათებელი პლასტიკის თავისებურებებით, რაც პირველქმნილი მშვენიერების გადმოცემის საუკეთესო საშუალებაა.

მართალია, მრავალფეროვან მხატვრულ ინტერესებს შორის შიშველი სხულის პლასტიკისადმი ინტერესი დ. ერისთავის შემოქმედებას მუდმივად თან სდევს. მოღვანეობის დასაწყისიდან დღემდე, გარკვეული პერიოდულობით ქალის სხეულის პარმონიულობას იყო კლასიკური ტრადიციების საფუძველზე აგებული შიშველი ტორსებისა და ტრადიციული “Nu”-ს გამოსახულებებში ასახავდა. 1970-იან წლებში შესრულებული გრაფიკული ფურცლები სერიისათვის “რითმი” კი მოძრავი შიშველი სხეულის პლასტიკის გამომხატველია.

თუმცა, 1990-იან წლებში შექმნილი ყოველი ნამუშევარი, წინა წლებისაგან განსხვავებით, ერთმნიშვნელოვნად ამ სუბიექტური, პროფესიული ინტერესის წარმოჩნდას გულისხმობს. ყოველი სიუჟეტი ბიბლიური, მითოლოგიური, ყოფითი თუ ლიტერატურული თემატიკიდან შიშველი სხეულის თავისებურებათა წარმოჩნდას ემსახურება. 1990-იან წლებში დ. ერისთავმა შექმნა ახალი გრაფიკული სერია, რომელსაც პირობითად “Nu” უწოდა. ამ სერიაში გაერთიანებულ ნამუშევართა მორის სერია “რითმის” შეგავსი კომპოზიციების გარდა, ანტიკური სამყაროსათვის დამახასიათებელ თემატიკას ვხვდებით, ისეთს როგორიცაა: “ვენერას დაბადება” (1995წ. ქალ. ფერ. ფან. 40X290),

“ვენერა სარცით” (1996წ. ქალ. ფერ. ფან. 38X25), “ადამი და ევა” (1995წ. ქალ. ფერ. ფან. 35X26), “ზაფხული” (1996წ. ქალ. ფერ. ჭყან. 50X35), “დები” (1993წ. ფერ. ფან. 31X20), “მეძაფი” (1997წ. ფერ. ფან. 35X26), “ბახუსი” (1998წ. ფერ. ფან. 37X28), “სამი გრაცია” (2002წ. ფერ. ფან. 43X25) და სხვა. ამავე პერიოდში იგი ქმნის სიუჟეტურ კომპოზიციებს “დასვენება” (1990წ. ფერ. ფან. 35X50), “გასეირნება” (1997წ. ფერ. ფან. 35X50), “ყავა” (1998წ. ფერ. ფან. 35X26), “ქარში” (2002წ. ფერ. ფან. 45X31), “გზააფხული” (1997წ. ფერ. ფან. 35X50), სადაც მხატვარი სხეულის მცირე მონაკვეთს პირობითად დრაპირებით ფარავს, თუმცა ქაც ძირითადი ყურადღება სხეულის ფორმათა პლასტიკურებულ მახვილდება.

პროფესიული და კომპოზიციური ოსტატობის საფუძველზე შექმნილ ნანარმიებებში აშკარად ჩანს, რომ ქალის სხეული მხატვრისათვის ესთეტიკური ტყებობის საგნად იქცა. პირველქმნილი სილამზის სრულყოფილი ალექსისა და გამოხატვისაკენ სწრაფვა, სავარაუდოა, ერთი მხრივ, თვით ოსტატის ასაკით იყოს გაპირობებული. ამასთანავე, ჩვენი მოსაზრებით, შემოქმედებითი ინტერესების რადგივალური ცვლილების უფრო მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორიც უნდა არსებობდეს.

1980-იანი წლების ბოლოდან ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1990-იანი წლების დასაწყისიდან კი ქვეყანაში ქაოსმა და გაურკვევლობამ დაისადგურა. დ. ერისთავი, რომლისთვისაც თანამედროვე ცხოვრება შთამაფონებელი კატეგორია, ცაბდია ცდილობს გაიზროს მიმდინარე პროცესები, მათი ჭეშმარიტი არსი შეიმეცნოს. თუმცა აშკარაა, რომ შემოქმედისათვის გარე სამყარო გაუცხოვდა. შედეგად, იგი საჯუთარ შინაგან სამყაროში ჩაიკეთა და სამყაროსადმი ჯერ კიდევ გაუწელებელი რომანტიკული დამოკიდებულების ფონზე მშვენიერების წვდომის სურვილი გაუმძაფრდა. როგორც ჩანს, ანტიკური ხელოვნების მსგავსად, ერისთავი ქალის პლასტიკური სხეულის სილამზეში სამყაროს პარმონიული მოდელის დანახვას ცდილობს და სამყაროს უკვდავ, მარადიულ ხატად გაიზრებს მას, რაც მხატვრისათვის გაურკვევლო-

ბისაგან თავის დაღნევის და ესთეტიკური გრძნობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად იქცევა. ამგვარად, აღნიშნული ნაწარმოებები რეალობისაგან შემოქმედის დროებით გამმიჯვნელი ერთგვარი “დეკორატიული შირმაა”, თვით ოსტატის მიერ აღმართული, რათა გარკვეულწილად დამალოს საჯუთარი დაბნეულობა, შეინარჩუნოს რომანტიკული და პოეტიური დამოკიდებულება სამყაროს მიმართ და ლირსეულად დააღნიოს თავი შინაგან კრზისულ მდგომარეობას. საკითხის ამგვარი კუთხით განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დ. ერისთავის შემოქმედების ეს მონაკვეთი ერთგვარი გარდამავალი პერიოდია, რომელსაც ჯერ ნარსულისადმი ნოსტალგია ენაცვლება, ხოლო შემდგომ კი, მიუხედავად ოსტატის სერიოზული მცდელობისა უბრალო ადამიანებითა და ჩვეულებრვი მოვლენებით აღფრთოვანების უნარი არ დაეკარგა, სამყაროს აღქმის ხასიათი ტრაგულ ელფერს იძენს.

ამავე თაობის და მსოფლმხედველობის მქონე მხატვართა შორის ზ. ნიუარაძის შემოქმედებაც, ზემოთ აღნიშნული მოვლენების ფონზე, დ. ერისთავის მხატვრობის მსგავსად ინტერესების ცვლილების თითქმის იდენტურ პროცესს განიცდის. უკანასკნელ წლებში შექმნილი ნანარმოებები აშკარად მეტყველებენ, რომ ზ. ნიუარაძისთვისაც სამყაროს იდეალური მოდელი პარმონიული აგებულების მქონე ქალის მშვენიერ ფიგურაშია განსხვაულებული, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ერთი და იგივე მსოფლმხედველობის მქონე, თუმცა მკვეთრად ინდივიდუალური ხელწერის შემოქმედებები ერთგვაროვანი გავლენა იქონია, რის საფუძველზედაც მხატვრული აზროვნების გარკვეული ფორმა ჩამოყალიბდა.

**FOR THE ISSUE OF CHANGING ARTISTIC INTERESTS
(AFTER PIATIDESIATNIKS)**

Summary

Each generation is creative, which has based on the background of some historical processes and it still goes on acting under a new political existing form, accordingly it experiences some change of artistic interest, what is being defined by some kind of confusion caused by the modern lifemoad occurrences.

Basing on such changes artistic interests of painter D.Eristavi change. Since that the main theme of the graphical painter is the well developed naked woman body, in what, like the antic art, he sees the harmonic model of the world, its everlasting icon. As it seems, this compositions are some kind of a "decorative curtain", put up by the painter itself, that is keeping him distans from reality, what is the best way for keeping esthetic feeling and romantic and poetic relationship with the world. The age of the creator is one of the most important determining factor for artistic interest.

The identical changing process is being seen in an other "petidesiatnic" Z.Nijaradze creation, that gives us a possibility to think, that the political processes are acting the same way on minds of creators, having the same ideologies, but having an individual style.

რუსული მიძალაშვილი

**ქართული კულტურის ძაგლი –
პაზრიათის ტაძარი XX საუკუნის I მეოთხედან
(პრესის მასალების მიხედვით)**

1650–1652 წლებში, როცა რუსეთის ელჩებმა ალექსეი ივანევმა და ნიკიფორე ტოლოჩანოვმა იმერეთის სამეფოს მუხლობრივი აღნერილობა შეადგინეს, ბაგრატის ტაძრის შესახებ შემდეგი ჩანსრები: „ქუთაისის ამ დიდ ციხე-გალავანში ქვის საკრებულო ტაძარია, ერთგუმბათიანი, საუცხოოდ აგებული, გუმბათი გადახურულია სპილენძით, თექვსმეტ წახნაგად. საყდარი დიდი თლილი ქვით არის აგებული, საუნიანი და ზოგჯერ მეტი სიდიდის. ამ საკრებულო ტაძრის გარე წრის ზომა ოთხმოცდაქვსი დიდი საუნია. გალავანშივე ქვისგან აგებული სამრეკლოა, მრგვალი, ზედ ერთი ზარია, რვა ფუთი იქნება. შიგ ორი ენა აქვს ...საკრებულო ტაძარი ლვოისმშობლის მიძინების სახელობის არის, შიგ წინათ კედლის მხატვრობა ყოფილა. საყდარში მრგვალად თლილი რვა სვეტია. იქეთ-აქეთ გვერდებზე თალებს ქვემოთ შენიშვინია შესანიშავად გაკეთებული (ქალთა სადგომი წირვა-ლოცვის დროს). მარჯვენა მხარეს, სვეტთან, ქვისგან გაკეთებული მეფის ადგილია, ზედ მეფეებია დახატული. როცა მეფე იმ საკრებულო ტაძარში მიდის, თავის ადგილას დგება“ (1, 117-118, 162-166). შემდეგ მას მოჰყვება ჩამონათვალი იმ საეკლესიო ნივთებისა და სინმინდეებისა, რომლებიც ტაძარში ინახება. ამ დახასიათებიდან ნათლად მოსჩანს ტაძრის დიდებულება და მისი მნიშვნელობა, როგორც სარწმუნოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

რუსი ელჩების სტუმრობის შემდეგ, 1691 წელს, ტაძარი თურქებმა გაანადგურეს. ჩამოინგრა გუმბათი და სახურავი.